ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724086001
თარიღი:26/03/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-06

დ. ლენტეხი 21 მარტი2024

მიმდინარე წლის 21 მარტს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანი, მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი, საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი და აპარატის უფროსი სპეციალისტი თეა ქურდიანი.

სხდომის დაწყების წინ რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოსალოდნელ მაშტაბურ პროექტებზე: გაზიფიცირება, ლენტეხი-უშგულის გზის გახსნა, იწყება ყორულდაშში ახალი პროექტი, გარემოს დაცვის სამინისტრომ დაიწყო სამუშაოები ცახის ტერიტორიაზე დარიშხანის კონსერვაციაზე. რაც შეეხება წყალს, ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა, ორ წელიწადში დამთავრდება და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ექნება 24 საათიანი წყალი. რომ სახელმწიფოს თანადგომით განხორციელდება ძალიან ბევრი კარგი პროექტი და გათვალისწინებული იქნება მოსახლეობიდან წამოსული ყველა პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა რწმუნებულის მოადგილეს სასიამოვნო ინფორმაციის მოწოდებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2023 წელს განხორციელებული**

შესყიდვების შესახებ.

/მომხს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. **2023-2027 წლების ლენტეხის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მოწონების თაობაზე**

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

5. **ინფორმაცია - საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის შესახებ.**

/მომხს: მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

6. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ თეა ტვილდიანი/

7. **სხვადასხვა.**

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით ზრი გამოთქვა მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ: მერიას მომზადებული აქვს საკითხები, რომელთა შემოგზავნა ელექტრონულად ვერ მოესწრო და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე გთხოვთ დღის წესრიგში გაითვალისწინოთ აღნიშნული საკითხები:

1. **2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის N-97.97240121 განკარგულების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

2. **დაბა ლენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე.**

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

ღია კენჭისყრის შედეგით მომხრე -1 9

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1.2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

/მომხს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3.2023-2027 წლების ლენტეხის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მოწონების თაობაზე

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

5. **ინფორმაცია - საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის შესახებ.**

/მომხს: მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

6. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ თეა ტვილდიანი/

7. **2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის N-97.97240121 განკარგულების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხს: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

8. **დაბა ლენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე.**

/მომხს: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

9. სხვადასხვა.

1.მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიადი ლობჟანიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა განმარტა, რომ ყველა პროექტი შეირჩა სოფლის კრებებზე მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.ყველა სოფელი ფინანსდება 10000ლარით, გარდა ორი სოფლისა, რომელთა დაფინანსება არის 12000ლარი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა ყველა სოფელში ჩაატარეს კრებები და შეირჩა პროექტები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ხმათა უმრავლესობით მომხრე -19

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

2. მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ - რომ კომისიამ წინასწარ, დეტალურად განიხილა შესყიდვების ანგარიში და რაიმე სერიოზული შენიშვნა ანგარიშის მიმართ არ აქვთ.

სხვა მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 19

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის (შესყიდვების განყოფილების) ანგარიში 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

3. მოისმინეს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების უფროსმა ირა გვიჭიანმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი - 2023-2027 წლების ლენტეხის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მოწონების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა: მარეხი ონიანმა - ძალიან ცუდი მდგომარეობაა ნარჩენების კუთხით სოფ ხელედში. მდინარის პირას იყრება ნარჩენები, არ არის სოფელში ნაგვის ურნებიც.

გამზა ლიპარტელიანი - ანალოგიური მდგომარეობაა სოფ. წანაშში, არ არის ნაგვის ურნები.

ამირან ქურასბედიანი: ცუდი მდგომარეობა ძველ ნაგავსაყრელზე, ცენტრალური გზიდან ძალიან ცუდად ჩანს და იქნებ ვიზრუნოთ ამ საკითხზეც.

პასუხად: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ყველა ეს პრობლემა გათვალისწინებული მიმდინარე წელს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -19

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - 2023-2027 წლების ლენტეხის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მოწონების თაობაზე.

4. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაწდელიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საპრივატიზაციო ნუსხის თაობაზე. კერძოდ აღნიშნა, რომ 2023 წლის 23 ოქტომბრის Nგ.97.97233001 განკარგულების საფუძველზე საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილია ჭველიერის ყოფილი სკოლა-იმტერნატის შენობა საბაზრო ღირებულებით 40700 ლარი. საკ.კოდი 87.05.32.002, საერთო ფართი 716 კვ.მ,შენობის ფართი 558.33კვ.მ. 2024 წლის თებერვლის სტიქიური მოვლენების შედეგად მთლიანად დაზიანდა შენობა, ჩატყდა სახურავი. საჭიროა შენობის ღირებულების ხელახალი შეფასება.

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

5. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტასუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შედის დადგენილებაში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, აგრეთვე იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტის ასახვის მიზნით:

1. 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ გამიყო 1 310 000 ლარი;

2. 2024 წლის 29 თებერვლის N 270 განკარგულებით გამიყო 38 000 ლარი 2024 წლის თებერვალში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაცია;

3. 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით 794 000 ლარი რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის;

4. 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულებით სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათის 599 839 84 ლარი;

5. იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილია გრანტი 193 870 ლარი.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -19

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში .

6. **მოისმინეს:** მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის , ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის

მე-20-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18-იანვრის N-2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 010250020.35.115.016405 23/01/2024 წ.) დამტკიცებულ დანართი N-1 -ში შემდეგი სახით:

1. დანართის მე-3-ე მუხლს დაემატოს ,, კ" ქვეპუნქტი.

,,კ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა."

2. დანართის მე-9-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, მუხლი 9. მრავალშვილიანი ოჯახების (სამი და მეტი შვილი) და მარტოხელა დედის/მამის ფინანსური დახმარება.

1. მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

ა) მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 3 შვილი (18 წლამდე) - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი ერჯერადად; 4 შვილი - 300 (სამასი) ლარი ერთჯერადად;

ბ) მარტოხელა დედის/მამის ერთჯერადი დახმარება 300(სამასი) ლარი.

დახმარების მიმღებმა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შვილის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

ვ) მარტოხელა დედის/მამის სტატუსი.''

3. დანართს დაემატოს 9^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 9^1 . ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა:

1.მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება

ა) ოჯახებს რომლებსაც ჰყავთ 5-(ხუთი) შვილი და ზევით 18 (თვრამეტ) წლამდე ყოველთვიური დახმარება ბავშვზე 20 (ოცი)ლარის ოდენობით;

დახმარების მიმღებმა განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შვილების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

4.დანართის მე-11-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,მუხლი 11. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება

ფინანსური დახმარება გაეწევა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, რომლებსაც ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი სახლი. აგრეთვე გაიცემა დიდთოვლობის, ღვარცოფის, მეწყერის, ქარბუქის შედეგად მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებული სახლების კომპენსაცია.

1. ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს გაეწევა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1500 (ერთიათასხუთასი) ლარიდან 10.000 (ათიათასი) ლარის ოდენობით, ხოლო ოჯახს რომლის საცხოვრებელ სახლსაც ხანძარმა არსებითი ზიანი მიაყენა - 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.

2.სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა, ღვარცოფი, მეწყერი, ქარბუქი) დაზარალებული მოსახლეობისთვის (მთლიანად ან ნაწილობრივ დაზარალებული კერძო სახლები) კომპენსაცია

გაიცემა 1000 (ერთიათასი) ლარიდან 5000(ხუთიათასი) ლარის ოდენობით ერთჯერადად, კერძო სახლების დაზიანების ხარისხის მიხედვით.

დაზარალებულმა ოჯახის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) აქტი სახანძრო-სამაშველო დაწესებულებიდან სახლის დაზიანების ხარისხის შესახებ;

დ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) განმცხადებლის საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები;

ვ)მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) აქტი შესაბამისი კომისიის მიერ გაცემული სახლის დაზიანების ხარისხისა და ზარალის ოდენობის შესახებ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკითხთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა, რომ სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა, ღვარცოფი, მეწყერი, ქარბუქი) დაზარალებული მოსახლეობისთვის (მთლიანად ან ნაწილობრივ დაზარალებული კერძო სახლები) კომპენსაციის გაცემა არ აისახოს სოც. დახმარების გაცემის წესში. რადგანაც არ არის შესაბამისი ბიუჯეტი.

მომხსენებელმა ხათუნა ლიპარტელიანმა საკითხთან დაკავშირებით დააფიქსირა მისი მოსაზრება, რომ მუხლში ,, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს გაეწევა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1500 (ერთიათასხუთასი) ლარიდან 10.000 (ათიათასი) ლარის ოდენობით, ხოლო ოჯახს რომლის საცხოვრებელ სახლსაც ხანძარმა არსებითი ზიანი მიაყენა - 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით“ არ მიაჩნია სწორად წინადადება ,,ხოლო ოჯახს რომლის საცხოვრებელ სახლსაც ხანძარმა არსებითი ზიანი მიაყენა - 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით“ და საერტოდ იქნას ამოღებული.

აზრთა სხვადასხვაობის შემდეგ

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 19

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N-2 დადგენილებაში წარმოდგენილი სახით.

7.სხვადასხვა.

1.მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ახალი განკარგულებების მომზადება პროექტების მოწონების თაობაზე. რადგანაც მთის ფოდიდან გამოყოფილი თახხების ასათვისებლად არ გვაქვს საკმარისი პროექტები. კარგი იქნება, თუ საკრებულოს ნევრების მხრიდან იქნება მხარდაჭერა ამ პროექტების მიმართ:

1. 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის N-97.97240121 განკარგულების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. დაბა ლენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტები დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე - 19

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტები წარმოდგენილი სახით.

3. **მოისმინეს:** მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ 2023 წლის N28 დადგენილებით შევიდა ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში, რომლითაც დამტკიცდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბოლოო ბიუჯეტი.

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისად ვერ მოხერხდა ლენტეხის მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)ი.პირების დაზუსტებული გეგმა-პროგრამების დამტკიცება და დოკუმენტაციის გასწორება. დღეს წარმოდგენილი გვაქვს აღნიშნული გეგმა -პროგრამები იმ მოტივით, რომ დოკუმენტები გასწორდეს და შესაბამისობაში იყოს ბიუჯეტთან.

საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრით მომხრე -19

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: გასწორდეს დოკუმენტაცია და 2023 წლის დაზუსტებული გეგმა-პროგრამები შესაბამისობაში მოვიდეს 2023 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტთან.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 12 საათსა და 40 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი